

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	3

1. ძირითადი საქმიანობა	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ძირითადი საშუალებები	13
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
7. წინასწარ გადახდილი ავანსები	13
8. სავაჭრო მოთხოვნები	13
9. ფული და მისი ექვივალენტები	14
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14
12. შემოსავალი	14
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
15. საკუროსო ზარალი, წმინდა	15
16. ფინანსური რისკი	16
17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	17
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,271,579	3,893,424
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,271,579	3,893,424
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	46,542	1,182,070
წინასწარ გადახდილი ავანსები	7	3,222,435	1,725,802
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	957,042	1,253,737
საგადასახადო აქტივი		31,483	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	2,550,117	1,780,296
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,807,619	5,941,905
სულ აქტივები		10,079,198	9,835,329
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4,336,841	3,745,135
საგადასახადო ვალდებულებები		-	19,823
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	5,372,913	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,709,754	3,764,958
სულ ვალდებულებები წმინდა ნარჩენ ღირებულებამდე, რომელიც სათაო ოფისისათვის არის მიკუთვნებადი			
		9,709,754	3,764,958
წმინდა ნარჩენი ღირებულება მიკუთვნებადი სათაო ოფისისათვის			
		369,444	6,070,371

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 1 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
ფილიალის დირექტორი
თბილისი, საქართველო

DocuSigned by:
Bahruz Rzaev
561305FBB9654E6...

4-18 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	11	15,668,222	16,209,349
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(20,115,336)	(15,102,096)
საერთო მოგება		(4,447,114)	1,107,253
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,294,363)	(1,272,669)
საოპერაციო მოგება		(5,741,477)	(165,416)
საკუროსო ზარალი, წმინდა	14	(63,004)	(35,183)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი)		103,554	484
ზარალი დაბეგვრამდე		(5,700,927)	(200,115)
მოგების გადასახადი		-	-
შემცირება წმინდა ნარჩენ ღირებულებაში, რომელიც მიკუთვნებადია სათაო ოფისისათვის ოპერაციებიდან		(5,700,927)	(200,115)

ფილიალი არ გამოსცემს კაპიტალის ინსტრუმენტებს და შესაბამისად არ წარმოადგენს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 1 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
ფილიალის დირექტორი
თბილისი, საქართველო

DocuSigned by:

Bahruz Rzaev

561305FBB9654E6...

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(5,700,927)	(200,115)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	621,845	833,545
წმინდა ზარალი (მოგება) საკუროს სხაობიდან	15	63,004	35,183
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
შემცირება მარაგებში	6	1,135,528	(1,082,690)
დებიტორული მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ზრდა / (შემცირება)	7,8	(1,202,119)	120,112
კრედიტორული დავალიანებების ზრდა	10	551,359	415,951
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა		5,372,913	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(51,305)	7,633
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		790,298	129,619
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	-	(104,582)
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	(104,582)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ კლება		790,298	25,037
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(20,477)	(33,334)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში		1,780,296	1,788,593
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		2,550,117	1,780,296

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 1 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
ფილიალის დირექტორი
თბილისი, საქართველო

DocuSigned by:
Bahruz Reayev
561305FBB9654E6...

4-18 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი (შემდგომში-ფილიალი) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაარსდა ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის მიერ (შემდგომში სათაო ოფისი) 2014 წლის 21 ოქტომბრის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე დაარსებულ იურიდიულ პირს, იგი უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404480575.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის, სათაო ოფისის 100 %-იანი წილის მფლობელი და მაკონტრაოლებელი მხარეები არიან:

	2024	2023
აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (აზერბაიჯანი)	60%	60%
კომპანია „თექფენ“ (თურქეთი)	40%	40%
	100%	100%

სათაო ოფისი წარმოადგენს BP-ის (ბრიტიშ პეტროლეუმი) კონტრაქტორს და საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის მეშვეობით ახორციელებს „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოებისა“ (SCPX) და დასავლეთის მიმართულების სექციური ცვლილებების პროექტებს (WREP). შესაბამისად, ფილიალი ორიენტირებულია მხოლოდ ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში სამუშაოების შესრულებაზე.

სათაო ოფისი არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

ფილიალის რეგისტრირებული მისამართი არის ძველი თბილისის რაიონი, ბამბის რიგი N7, თბილისი, საქართველო.

ამ ანგარიშების გამოშვების მომენტში ფილიალის დირექტორი არის თოგრულ ომაროვ (P4652230, აზერბაიჯანი).

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ფილიალის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა (საერთო მოგება) და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ფილიალის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 Euro	2.9306	2.9753

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია შემდეგი განაკვეთები:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	განაკვეთები
შენობა ნაგებობები	15 %
მანქანა დანადგარები	8-20%
ოფისის აღჭურვილობა	15-20%
ავიჯი და სხვა ინვენტარი	15-20%

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ფილიალი ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, ისინი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია წარდგება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

საოპერაციო იჯარა- ფილიალი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ფილიალი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ფილიალში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფული და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

სავაჭრო მოთხოვნები

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ მათი აღრიცხვა ხდება მოარტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. გაუფასურება სავაჭრო მოთხოვნებზე წარმოიშობება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური რწმუნება იმის რომ, ფილიალი ვერ შეძლებს თანხის მიღებას დებიტორის საწყისი ვადის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში. თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ფილიალს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ფილიალმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ფილიალმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

წმინდა ნარჩენი ღირებულება, მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის

ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს და შესაბამისად, არ გამოუცია საკუთარი კაპიტალ ინსტრუმენტები. სათაო ოფისის უფლება აქვს მოითხოვოს ფილიალში მისი ინვესტიციების გამოსყიდვა როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. გამოსყიდვის ეს ვალდებულება წარმოქმნის გამოსყიდვის თანხის ამჟამინდელი ღირებულების ვალდებულებას. ამ ვალდებულების ზუსტი თანხის დადგენა არ არის პრაქტიკული, რადგან უცნობია, როდის ან თუ მოითხოვს სათაო ოფისი გამოსყიდვას. როგორც პრაქტიკული საშუალება, ფილიალი აფასებს „წმინდა ნარჩენი ღირებულება, მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის“, საწარმოს აქტივების, წმინდად ფასს-ის საბალანსო ღირებულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები წმინდა ნარჩენ ღირებულებაში, რომელიც მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის, ფულადი ნაკადების ანგარიშებაში ასახულია „საფინანსო საქმიანობის“ ნაწილში.

სათაო ოფისისათვის მოგების გადანაწილება აღიარდება მაშინ როდესაც გამოცხადდება. გამოცხადებული მოგების გადანაწილების გადაუხდელი ნაწილი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილია სათაო ოფისისადმი მიკუთვნებად წმინდა ნარჩენ ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

რადგან სათაო ოფისისადმი ვალდებულება კანონიდან გამომდინარეობს, ის არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტს, მაგრამ შეესაბამება ანარიცხების, პირობითი ვალდებულებების და პირობითი აქტივების განყოფილებას. აქედან გამომდინარე, ეს ვალდებულება არ ხდება მის ფასს-ით მოთხოვნილი გამჟღავნების ფარგლებში.

შემოსავალი

ფილიალის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მომსახურების გაწევიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ფილიალი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შევებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ფილიალმა დასაქმებულისგან. ფილიალს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფილიალის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფილიალის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება/ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ფილიალი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხდება კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის , მდგომარებით იყო შემდეგი:

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
თვითღირებულება:					
31 დეკემბერი 2022 წ.	476,534	11,612,609	359,793	17,911	12,466,847
შემოსვლა	-	104,582	-	-	104,582
31 დეკემბერი 2023 წ.	476,534	11,717,191	359,793	17,911	12,571,429
შემოსვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წ.	476,534	11,717,191	359,793	17,911	12,571,429
მეწონიერი ღირებულება:					
31 დეკემბერი 2022 წ.	314,837	7,197,134	320,569	11,920	7,844,460
წლიური ცვეთა	16,611	804,696	11,708	530	833,545
31 დეკემბერი 2023 წ.	331,448	8,001,830	332,277	12,450	8,678,005
წლიური ცვეთა	15,104	590,476	15,777	488	621,845
31 დეკემბერი 2024 წ.	346,552	8,592,306	348,054	12,938	9,299,850
მეწონიერი ღირებულება:					
31 დეკემბერი 2023 წ.	145,086	3,715,361	27,516	5,461	3,893,424
31 დეკემბერი 2024 წ.	129,982	3,124,885	11,739	4,973	3,271,579

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ფილიალის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები და სხვა ინვენტარი	46,542	1,139,668
საწვავი	-	42,402
სულ მარაგები	46,542	1,182,070

7. წინასწარ გადახდილი ავანსები

ფილიალის წინასწარ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ავანსები მომწოდებლებზე	3,222,435	1,720,062
ხელფასის ავანსები	-	5,740
სულ წინასწარ გადახდილი ავანსები	3,222,435	1,725,802

8. სავაჭრო მოთხოვნები

ფილიალის სავაჭრო მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 957,042 ლარით (2023 წლის 31 დეკემბერს: 1,253,737) როგორც 2024 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად დებიტორს წარმოდგენს საქართველოს და ბაქო-თბილისის მილსადენის კომპანია. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სავაჭრო მოთხოვნები არ ექვემდებარება გაუფასურებას და მათზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

9. ფული და მისი ეკვივალენტები

ფილიალის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები:		
ლარში დენომინირებული	2,550,117	1,745,534
აშშ დოლარში დენომინირებული	-	838
ევროში დენომინირებული	-	33,924
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,550,117	1,780,296

ფულადი სახსრები განთავსებულია ქართულ ბანკებში და არის დაბალი რისკის მატარებელი. მოკლევადიანი ხასიათის გამო ფულს და ფულის ეკვივალენტებზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფილიალის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,336,841	3,745,135
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,336,841	3,745,135

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის ძირითად სხვა მოკლევადიან ვალდებულებას 31 დეკემბერი 2024 წლის მდგომარეობით წარმოადგენს საქართველოს და ბაქო-თბილისის მილსადენის კომპანია და სამხრეთ კავკასიის მილსადენების კომპანია -5,372,913 ლარი, (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :0 ლარი).

12. შემოსავალი

შემოსავალი პროექტების მიხედვით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოება	1,544,744	5,800,936
სექციური ცვლილებების პროექტები	14,050,478	10,116,413
სხვა შემოსავალი	73,000	292,000
სულ შემოსავალი	15,668,222	16,209,349

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ფილიალის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საინსტალაციო ხარჯები	8,657,585	6,794,387
გახარჯული მასალის ხარჯი	5,906,927	2,608,817
ხელფასის ხარჯები	2,893,649	2,723,010
საწვავის ხარჯები	771,825	773,017
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	590,476	804,697
იჯარის ხარჯები	406,043	334,797
ავტომობილების რემონტის ხარჯები	200,280	87,535
ტრანსპორტირების ხარჯები	120,973	66,949
საინჟინრო მომსახურების ხარჯი	108,856	303,529
სასტუმროსა და განთავსების ხარჯები	66,798	138,569
კომუნალური ხარჯები	62,671	65,230
საკომუნიკაციო ხარჯები	60,019	69,303
დაზღვევის ხარჯები	26,044	24,595
სამედიცინო მომსახურების ხარჯები	12,018	11,705
ლაბორატორიის ხარჯი	7,068	15,772
სხვა ხარჯები	224,105	280,184
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20,115,336	15,102,096

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ფილიალის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	1,011,881	926,724
დაზღვევის ხარჯი	77,116	77,060
ცვეთის ხარჯი	31,369	28,849
მომსახურების ხარჯები	16,580	5,937
საკონსულტაციო ხარჯები	4,286	52,858
იჯარის ხარჯი	-	60,081
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	153,131	121,160
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,294,363	1,272,669

15. საკურსო ზარალი, წმინდა

ფილიალის საკურსო ზარალი, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	20,477	33,334
არა-რეალიზებული ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	42,527	1,849
კურსთაშორისი ზარალი, წმინდა	63,004	35,183

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

16. ფინანსური რისკი

ფილიალი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. ფილიალი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

31 დეკემბერი, 2024	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,550,117	-	-	2,550,117
სავაჭრო მოთხოვნები	957,042	-	-	957,042
სულ ფინანსური აქტივები	3,507,159	-	-	3,507,159
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,336,841	-	-	4,336,841
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,336,841	-	-	4,336,841
ღია სავალუტო პოზიცია	(829,682)	-	-	(829,682)

31 დეკემბერი, 2023	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,745,534	838	33,924	1,780,296
სავაჭრო მოთხოვნები	1,253,737	-	-	1,253,737
სულ ფინანსური აქტივები	2,999,271	838	33,924	3,034,033
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,745,135	-	-	3,745,135
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,745,135	-	-	3,745,135
ღია სავალუტო პოზიცია	(745,864)	838	33,924	(711,102)

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს ფილიალის დამოკიდებულებას 20%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 20% წარმოდგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტამ დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 20% იანი საკურსო სხვაობის მერყეობით.

დადებითი რიცხვი წარმოდგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

	დოლარის ეფექტი 2024		ევროს ეფექტი 2024	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება/(ზარალი)	-	-	-	-

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ფილიალი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ფილიალის პოლიტიკის მიხედვით, ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	957,042	1,253,737
ფული ბანკში	2,550,117	1,780,296
	3,507,159	3,034,033

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ფილიალის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

ფილიალის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

16.ფინანსური რისკი (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2024	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,550,117	2,550,117
სავაჭრო მოთხოვნები	957,042	957,042
სულ ფინანსური აქტივები	3,507,159	3,507,159
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	4,336,841	4,336,841
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,336,841	4,336,841
ლიკვიდურობის გარღვევა	(829,682)	(829,682)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(829,682)	(829,682)

31 დეკემბერი, 2023	1 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,780,296	1,780,296
სავაჭრო მოთხოვნები	1,253,737	1,253,737
სულ ფინანსური აქტივები	3,034,033	3,034,033
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,745,135	3,745,135
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,745,135	3,745,135
ლიკვიდურობის გარღვევა	(711,102)	(711,102)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(711,102)	(711,102)

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალი და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში,

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

17.პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ფილიალს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად

უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ფილიალს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფილიალს არ აქვს არსებითი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში.

მაღალი რანდგის ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	333,870	390,000

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 1 სექტემბერს. ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.